

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, შედგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სევერიან შენგელიას

ანგარიში

30.10.2017 წელი

ანგარიში მოიცავს 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრამდე პერიოდს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახორციელებდი შემდეგ საქმიანობას:

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირებაში მონაწილეობა;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის საქმიანობიდან გამომდინარე 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით მონაწილეობა მიღებული მაქვს : საკრებულოს 34 დადგენილებისა და 80 განკარგულების პროექტების განხილვაში, აქედან კომისიამ განიხილა 14 დადგენილების და 28 განკარგულების პროექტი, მოსახლეობიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულ წერილებს გაეცა შესაბამისი პასუხი.

ყოველდღიურ რეჟიმში მაქვს შეხვედრა ან სატელეფონო კავშირი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსებთან. განვიხილავთ ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობასა და არსებული პრობლემების მოგვარების საკითხებს.

პერიოდულად ვხდებოდი ამომრჩეველებს, სოციალურ, ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურული პრობლემებისა და სხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი

სევერიან შენგელია